მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2023 წლის 31 მარტი

დაბა მესტია

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ”

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 2093 და 239-ე მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების საფუძველზე, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს :

ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა (დანართი №1);

ბ) „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი № 2);

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალი (დანართი №3);

დ) გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმა (დანართი №4);

ე) სააღსრულებო ფურცელი (დანართი №5);

ვ)საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისა და გამოყენების წესი (დანართი №6);

ზ) საჯარიმო ქვითარი (დანართი №7).

მუხლი 2

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური შესაბამისი უფლებამოსილების სფეროს შესაბამისად

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის,ოქმის შევსების და წარმოების, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის და სააღსრულებო ფურცლის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის № 29 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მაიზერ ჯაფარიძე

დანართი №1
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი №

--------- ---------- 20----- წ. ----------
(ოქმის შედგენის თარიღი) (ოქმის შედგენის ადგილი)

1. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ----------

(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი)

მონაცემები დამრღვევი სუბიექტის შესახებ:

(თანამდებობა, სახელი, გვარი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის რეკვიზიტები, დაბადების ადგილი და თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი)

ინფორმაცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ :

(დრო, ადგილი, არსი)

პასუხისმგებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

(მუხლი და სამართალდარღვევის არსი)

აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევის ა ხ ს ნ ა-გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა:

---

2. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები.

მე, ----------

(სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი)

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს (ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს დედაენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე), რასაც ვადასტურებ ხელმოწერით: ----------

3. ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ოქმი შეადგინა: ---------- ----------

(ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

ოქმს გავეცანი: ----------

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა, თარიღი)

ოქმი ჩავიბარე: ----------

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა ან ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა, თარიღი)

მოწმეები (დასწრების შემთხვევაში):

--- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

--- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

--- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

--- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

--- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

--- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

4. ოქმის ასლი ჩავიბარე:

--- --- --- --- --- ---

სახელი, გვარი მისამართი, პირადი № ხელმოწერა

შენიშვნა: ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა, ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტება და ოქმის შინაარსთან დაკავშირებით შენიშვნები არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს. სამართალდამრღვევს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივი.

ბ.ა.

დანართი №2

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის წარმოების, გამოყენებისა
და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი:

მუხლი 1.
1. წესის რეგულირების საგანი

ეს წესი შემუშავებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 30 აგვისტოს №824 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის №223 ბრძანების, სხვა მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად და განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შენახვის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ მიღებული დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

2) ,,საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 2093-ე 239-ე მუხლის მე-14 ნაწილის, 240-ე და 2401 მუხლების, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი, მე-8, მე-12 და მე-15 ნაწილების, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების შესაბამისად

ა) „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 465,466, 552, 556, 771 და 772 მუხლებით, 825 მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 125-ე მუხლის მე-8 და მე-14 - მე-16 ნაწილებით, 1341, 135-ე, 1461, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე–1501 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 1512, 152-ე, 1522-ე, 1525–1529, 1534-ედა 1561 მუხლებით, 1585 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე, 1591, 1728 და 1729 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2906 მუხლის გათვალისწინებით, „ნარჩენების მართვის კოდექსის“47-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და „საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება. მიენიჭოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს;

ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1961, 1966, 197, 1971, 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს;

გ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 431 და 432 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“.''

მუხლი 2.

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი იბეჭდება სტამბური წესით(დანართი №1), ოქმის ფორმა მზადდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შეკვეთის საფუძველზე.

2. ოქმში შესატანი მონაცემები განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმით მომარაგება, ოქმის გაცემა და დაბრუნება

1. მესტიის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს მკაცრი აღრიცხვის ფორმის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სტამბური წესით ბეჭდვას (შესაბამისი დამცავი ნიშნების გათვალისწინებით).

2. სტამბური წესით დაბეჭდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩაბარების უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების მიღება, აღრიცხვა და გაცემა ხორციელდება„მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 3 სექტემბრის №223 ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების გაცემის, მიღებისა და დაბრუნების აღრიცხვა წარმოებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალში.

მუხლი 4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადაში

3. სათავსო, სადაც ინახება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და სათანადოდ დაცული დაზიანებისაგან.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები ინახება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებში.

მუხლი 5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შევსება და წარმოება

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს უფლებამოსილი პირები ავსებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში მონაცემების გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით აბარებს ოქმის გამცემს.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ოქმის შემდგენი პირის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი;

გ) მონაცემები დამრღვევის შესახებ;

დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;

ე) ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;

ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, ასეთების არსებობის შემთხვევაში;

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება;

თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი, ასევე მოწმეები და დაზარალებულნი (მათი არსებობის შემთხვევაში).

5. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. სამართალდარღვევის ჩამდენ პირს უფლება აქვს წარადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენისას, დამრღვევს უნდა განემარტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობანი, რაც ასევე აღინიშნება ოქმში.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი დგება სამ ეგზემპლარად. შედგენილი ოქმის ერთი ეგზემპლარი ყველა დანართით გადაეცემა დამრღვევს, რაზედაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ოქმის მეორე ეგზემპლარი რჩება უფლებამოსილ პირთან, ხოლო მესამე ეგზემპლარი იგზავნება სასამართლოში.

7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, მისი შედგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, რეგისტრირებული უნდა იქნეს სპეციალურად ზონარგაყრილ და დანომრილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალში(დანართი №3) და შემდგომი რეაგირებისათვის დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნოს იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომის გამო;

ბ) ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა ოქმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის (დანართი №4) მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის/ოქმების ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტში

3. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმების უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №3

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალი

№	გაცემის თარიღი	ოქმის№	ოქმის,საჯარიმო ქვითრის (ოქმის) გამცემი				ოქმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) მიმღები			
			გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

შედგენილი(გამოყენებული ოქმები, საჯარიმო ქვითრები (ოქმები)					დაბრუნებული(გაუქმებული/ოქმები, საჯარიმო ქვითრები (ოქმები)						შენიშვნა
ოქმის №	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	დაბრუნების თარიღი	აქტის №	გვარი	სახელი	თანამდებობა	ხელმოწერა	
12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23

დანართი №4

გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის,საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების ჩამოწერის შესახებ

(აქტის შედგენის ადგილი)

----------20 წელი

№	რაოდენობა	ოქმის ინდივიდუალური ნომერი/ნომრები	შენიშვნა

ხელმოწერით ვადასტურებთ აქტის მიხედვით წარმოდგენილი უვარგისი ოქმების ჩამოწერის სისწორეს:

ოქმის გაცემაზე და აღრიცხვა- ანგარიშგებაზე

პასუხისმგებელი პირი:----------

ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა -ანგარიშგებაზე

პასუხისმგებელი პირი:----------

დანართი №5

სააღსრულებო ფურცელი

_____ _____

ს/ფ გაცემის თარიღი

ადგილი

_____

(აღსრულების ფურცლის გაცემა)

სააღსრულებო ფურცელი გაიცა:

მიმართ:

_____

(დამრღვევის გვარი,სახელი,პირადი ნომერი ან იურიდიული პირის სახელწოდება და საიდენთიფიკაციო ნომერი)

_____

(სამართალდამრღვევის იურიდიული ან ფაქტობრივი მისამართი)

_____

(დარღვევის არსი და დარღვევის ადგილი)

_____

(აღსასრულებლად მიქცეული ადმინისტრაციული აქტის სრული დასახელება)

საჯარიმო ქვითარის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევს ოქმის კანონიერ ძალაში შესვლის

თარიღი: _____

_____

(სანქციის დასახელება, აღსრულების წესი, ვადა და სხვა დეტალები)

კრედიტორი:

დანართი №6

,,საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისა და გამოყენების წესი
საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“
გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენა და წარმოება

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითარი (ოქმი) წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას . საჯარიმო ქვითარს (ოქმს) სათანადოდ უფლებამოსილი პირები ადგენენ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.
2. საჯარიმო ქვითარი ივსება საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სამართალდარღვევათა მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

3. საჯარიმო ქვითარი იმავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

4. უფლებამოსილი პირის მიერ საჯარიმო ქვითარი ივსება ადგილზე, მიუხედავად იმისა, დამრღვევი

ეთანხმება თუ არა საჯარიმო ქვითრის შინაარსსა და მის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომას.

5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის უფლებამოსილმა თანამშრომელმა, თუ ადგილზე ვერ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ საჯარიმო ქვითარი (ოქმი) და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი დაფიქსირებულია ვიდეოფირზე, ან ფოტოფირზე, ოქმის შემდგენელი უფლებამოსილია, საჯარიმო ქვითარი (ოქმი) შეადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში და გაუგზავნოს სამართალდამრღვევს რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

6. საჯარიმო ქვითარი შედგება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან პირველი ეგზემპლარი რჩება უფლებამოსილ პირთან, ხოლო მეორე ეგზემპლარი გადაეცემა დამრღვევს.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამრღვევი ადგილზე არ იმყოფება, მას საჯარიმო ქვითრის მეორე ეგზემპლარი ფოსტით ეგზავნება.

8. საჯარიმო ქვითრის პირველ ნაწილში აღინიშნება:

ა) შედგენის თარიღი;

ბ) შედგენის ადგილი;

გ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი, გვარი, მამის სახელი;

დ) სამართალდამრღვევის მონაცემები: ფიზიკური პირი (სახელი და გვარი, პირადი ნომერი, მისამართი), იურიდიული პირი (დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი);

ე) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;

ვ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნორმა, ჯარიმის ოდენობა;

ზ) მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები;

თ) დამრღვევის ახსნა-განმარტება;

ი) მიმღები მოლარე;

კ) საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი;

ლ) მოწმე, ან სხვა პირის ხელმოწერა;

მ) ოქმის შემდგენლის ხელმოწერა;

ნ) სამართალდამრღვევის ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა;

ო) შენიშვნა.

9. საჯარიმო ქვითრის მეორე ნაწილში აღინიშნება:

ა) გადამხდელის სახელი, გვარი;

ბ) გადამხდელის მისამართი;

გ) ჯარიმის ოდენობა;

დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი;

ე) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი;

ვ) საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი;

ზ) მიმღები მოლარე;

თ) შემომტანი;

ი) თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

კ) საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემომტანის მიერ;

ლ) საჯარიმო ქვითარი შედგება ორი ნაწილისაგან:

ლ.ა) ნაწილი I – საჯარიმო ქვითარი;

ლ.ბ) ნაწილი II – საჯარიმო ქვითრის ყუა.

10. საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითარი (ოქმი) ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით, ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით. დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში, ივსება ახალი ოქმი. ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შემვსები, მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზის მითითებით, აბარებს საჯარიმო ქვითრის (ოქმის) გამცემს (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს).

11. საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას, დამრღვევს უნდა განემარტოს საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში.

12. საჯარიმო ქვითარს (ოქმს) ხელს აწერს მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულნი, ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირებმაც.

13. იმ შემთხვევაში თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ხელმოწერაზე, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შემდგენის მიერ, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შენიშვნის გრაფაში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

14. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს საჯარიმო ქვითარზე (ოქმზე) დასართავი ახსნა–განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე, ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

15. თუ სამართალდამრღვევს არა აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შემდგენმა პირმა, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში.

16. საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ეცნობება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

დანართი №7

საჯარიმო ქვითარი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური

ნაწილი I საჯარიმო ქვითარი ბ.ა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № ----

1. შედგენის თარიღი: _____ 2. შედგენის ადგილი: _____

(რიცხვი, თვე, წელი)

3. ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი: _____

_____

4. დამრღვევის მონაცემები: _____

ფიზიკური პირი (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი);

_____

_____

იურიდიული პირი (დასახელება, მისამართი და გადასახადის გადამხდელის

საიდენტიფიკაციო ნომერი

5. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი: _____

_____

_____

6.1. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევისთვის განსაზღვრულია საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

_____ მუხლის _____ ნაწილით, რომელიც

ითვალისწინებს ჯარიმას

_____ ლარის ოდენობით.

6.2. პასუხისმგებლობა აღნიშნული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევისთვის

განსაზღვრულია ნარჩენების მართვის კოდექსის _____ მუხლის

_____ ნაწილით,

რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას _____ლარის ოდენობით.

ნაწილი II

საჯარიმო ქვითრის ყუა

№ ----------

(ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში)

1._____

(გადამხდელის სახელი და გვარი)

2._____

(გადამხდელის მისამართი)

3._____

(ჯარიმის ოდენობა)

4.1._____

(ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლი)

4.2._____

(ნარჩენების მართვის კოდექსის მუხლი)

5._____

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი)

6._____

(საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

7. მიმღები მოლარე: _____

(ხელმოწერა)

8. შემომტანი: _____

(ხელმოწერა)

7._____

მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი, პირადი მონაცემები

8. ოქმს ერთვის დამრღვევის ახსნა-განმარტება, კონფისკაციის აქტი და სხვა:

_____

(ახსნა-განმარტების, კონფისკაციის აქტისა და სხვა დოკუმენტის არსებობისას მიეთითება

მისი რეკვიზიტები, ფურცლების რაოდენობა)

9. მიმღები მოლარე: _____ _____

(ხელმოწერა და თარიღი) (საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი)

მოწმის ხელმოწერა: _____ოქმის შემდგენლის ხელმოწერა: _____

სამართალდამრღვევი: _____

(ხელმოწერა, ხელმოწერაზე ან ქვითრის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა)

ბ. ა.

.

თარიღი: _____

(რიცხვი, თვე და წელი)

საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო

დაწესებულების ან საჯარიმო თანხის

შემომტანის მიერ.

ქვითრის უკანა მხარე

საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

მოქალაქეს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლითა და ნარჩენების მართვის კოდექსის 47-ე მუხლის მე-16 ნაწილით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი ჩადენილი დარღვევისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.